

წიწვოვანი ნარგავების უკანონო მოპოვებისა და რეაღიზაციის აღკვეთის მიზნით პრევენციულ ღონისძიებები ტარდება



გარემოს დაცვის სამინისტრო საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს, თავი შეიკავოს წიწვოვანი ნარგავების უკანონო რეაღიზაციისგან. წინასაახადნოდ გარემოს დაცვის, ასევე სოფლის მეურნეობის [სამინისტრო](#) თბილისში და საქართველოს რეგიონებში, წიწვოვანი

ნარგავების უკანონო მოპოვებისა რეაღიზაციის აღკვეთის მიზნით, უწყვეტ პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებენ.

გარემოს დაცვის სამინისტრო შეახსენებს მოსახლეობას ხე-ტყის უკანონო მოჭრაზე დაწესებულ ჯარიმებზე. კერძოდ, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კურდურების მოსპობა და დაზიანება **200-დან 400** ლარამდე ჯარიმდება. ამასთან, თუ ქმედება დაცული ტერიტორიებზე ხორციელდება, ჯარიმის ოდენობა **400-დან 500** ლარამდე იზრდება. კანონდარღვევა ეროვნული პარკის, ბუნების ძეგლის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ, გამოიწვევს დაჯარიმებას **500-დან 600** ლარამდე. ჯარიმის გარდა სამართადამრღვევს დაეკისრება გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც. თუ ზიანის თანხა შეადგენს ან აღემატება **1000** ლარს, დადგება პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

“ნაძვის ხეების რეაღიზაცია დასაშვებია თუ იგი მოპოვებულია სანერგეებში, პრანტაციებში, საკარმიდამო ნაკვეთში ან

იმპორტირებულია. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია რეაღიზატორმა წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტები, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთში მოპოვების შემთხვევაში – ცნობა, რომელსაც გასცემს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები პრევენციურ ღონისძიებებს ე.წ. ცხელ წერტილებში – სახერმწიფო ტყის ფონდის მიმდებარე ტერიტორიებსა და მისასვლელ გზებზე, ქადაქის შემოსასვლელებთან და დასახლებულ პუნქტებში, ასევე საავტომობილო გზებზე ატარებენ. საჯარო საექციები წინვოვნების უკანონო მოპოვებაზე, ასევე ტრანსპორტირებისა და რეაღიზაციის წესის დარღვევაზე, გათვარისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციურ სამართადარღვევათა კოდექსის 64-ე, 64(1)-ე 66-ე, 151-ე, 151(1)-ე, 128(2)-ე მუხლებით”, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.